გაერთიანებული
ერების ორგანიზაცია

CRPD/C/GEO/CO/1

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

გავრცელება: ზოგადი
18 აპრილი 2023

დედანი: ინგლისური

არაოფიციალური თარგმანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს პირველად ანგარიშზე*

I. შესავალი

1. კომიტეტმა განიხილა საქართველოს პირველადი ანგარიში[1] თავის 2023 წლის 9 და 10 მარტის 628-ე და 629-ე შეხვედრებზე.[2] მან მიიღო წინამდებარე დასკვნითი მოსაზრებები თავის 2023 წლის 21 მარტის 644-ე შეხვედრაზე.

2. კომიტეტი მიესალმება საქართველოს პირველად ანგარიშს, რომელიც მომზადდა კომიტეტის ანგარიშგების სახელმძღვანელო წესების მიხედვით და მადლობას უხდის მხარე სახელმწიფოს კომიტეტის მიერ მომზადებულ საკითხთა ჩამონათვალზე[3] გაცემული წერილობითი პასუხებისთვის.[4]

3. კომიტეტი გამოხატავს თავის მადლიერებას მხარე სახელმწიფოს დელეგაციასთან გამართული კონსტრუქციული დიალოგის გამო, რომელმაც მოიცვა საკითხთა ფართო ჩამონათვალი და რომელშიც ჩართულნი იყვნენ პარლამენტის წევრები, შესაბამისი სამინისტროების და სასამართლო სისტემის წარმომადგენლები. კომიტეტი ასევე მადლიერია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის, როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტისა და დამოუკიდებელი საზედამხედველო მექანიზმის, აქტიური ჩართულობის გამო, კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

II. დადებითი ასპექტები

4. კომიტეტი მიესალმება მხარე სახელმწიფოს მიერ კონვენციის 2014 წელს რატიფიცირების შემდგომ მისი ეროვნულ დონეზე განხორციელებისთვის მიღებულ ზომებს.

5. კომიტეტი მიესალმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ხელშეწყობისთვის მიღებულ საკანონმდებლო და პოლიტიკურ ზომებს, კერძოდ:

---

* მიღებულია კომიტეტის მიერ თავის ოცდამერვე სესიაზე (2023 წლის 6-24 მარტი).

[1] CRPD/C/GEO/1.

[2] იხილეთ CRPD/C/SR.628 და CRPD/C/SR.629.

[3] CRPD/C/GEO/Q/1.

[4] CRPD/C/GEO/RQ/1.

Please recycle

(ა) 2020 წელს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონს და მის გაერთიანებულ სტრატეგიას, რომელიც მოიცავს 2021-2035 წლების პერიოდს;

(ბ) „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონს;

(გ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონს;

(დ) „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონს;

(ე) დადგენილებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკურ რეგლამენტს, რომელიც დაგეგმარებისა და მშენებლობის პროცესში ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების ჩართვას.

6. კომიტეტი მიესალმება მხარე სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციური და პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესების ძალისხმევას კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით, განსაკუთრებით კი კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნას.

III. საყურადღებო საკითხების ძირითადი არეალები და რეკომენდაციები

ა. ზოგადი პრინციპები და ვალდებულებები (მუხლები 1-4)

7. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) აფხაზეთის, საქართველო და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველო, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონვენციის იმპლემენტაციის ნაკლებობას და იქ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე მდგარ შიდა გადაადგილებისა და მათი უფლებების სხვაგვარად შელახვის რისკს;

(ბ) მხარე სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობისადმი სამედიცინო მიდგომის გავრცელებას, რაც გრძელდება რეფორმების პროცესში;

(გ) კანონმდებლობას და პრაქტიკებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მენტალური ჯანმრთელობა, სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა და საოჯახო საკითხები, რომლებიც აძლიერებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ უარყოფით სტერეოტიპებს, მათ შორის, მესამე პირებზე დამოკიდებულებას და ავტონომიის ნაკლებობას, ასევე - დამამცირებელი ენის შენარჩუნებას;

(დ) კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ეროვნული სტრატეგიის და ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე სამოქმედო გეგმის არარსებობას და ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა (2022-2030) და მის სამოქმედო გეგმაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შეზღუდულ ფარგლებს.

8. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო იძულებით გადაადგილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიყვანოს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის გრძელვადიან ინიციატივებში და გაითვალისწინოს საქართველოსთან მიმართებით 2021 წლის უნივერსალური**

პერიოდული მიმოხილვის[5] რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ რეგიონებში ჰუმანიტარული და განვითარების ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოების შეუზღუდავი წვდომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე საპასუხოდ;

(ბ) **დაასრულოს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემის შექმნა და უზრუნველყოს, რომ (i) მის შექმნაში ჩართულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები; (ii) მრავალჯერადი შეფასებებით განმცხადებლებს არ წარმოექმნებათ ზედმეტი ტვირთი; (iii) პოლიტიკა და პროგრამები მზრუნველობიდან, მკურნალობიდან და დაცვიდან გადაინაცვლებს გარემოსა და დამოკიდებულებითი ბარიერების მოხსნაზე, რომელიც ხელს უშლის თანასწორობასა და ინკლუზიურობას და (iv) შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკუთვნებელი მორგებული იქნება თითოეული პირის მოთხოვნილებაზე;**

(გ) **დააჩქაროს კანონმდებლობისა და საჯარო პოლიტიკის, მათ შორის, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამოქმედო გეგმის გადახედვის პროცესი, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანის უფლებათა მოდელთან, როგორც ეს მოცემულია კომიტეტის No.6 (2018) ზოგად კომენტარში თანასწორობის და არადისკრიმინაციულობის შესახებ;**

(დ) **მხარე სახელმწიფოში მოქმედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციით, მიიღოს ყოვლისმომცველი სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა კონვენციის იმპლემენტაციისთვის, რომლებიც მოიცავს შესაბამის ადამიანურ, ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებს, ნიშნულებს და ვადებს;**

9. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) დებულებების ნაკლებობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეროვნულ საჯარო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ფუნქციონირებისთვის და ადვოკატირების საქმიანობის განსახორციელებლად ძირითადად დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო თანამშრომლობაზე;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების არასისტემატურ ჩართულობას კონვენციის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სხვა საკითხების იმპლემენტაციის ზომებში, სახელმწიფო უწყებებში და მუნიციპალურ დონეზე და კომიტეტის მიერ მიღებულ ინფორმაციას კონსულტაციების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შესახებ;

(გ) მომსახურების გამწევი ორგანიზაციები ჭარბობენ მთავრობის საკონსულტაციო მექანიზმებში, სადაც მათ რეგულარულად აქვთ ხმათა უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ველზე მომუშავე (grass-roots) ორგანიზაციების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და ბავშვთა და ახალგაზრდების ორგანიზაციების საზიანოდ;

(დ) საჭირო ხელმისაწვდომი ინფორმაციის, შეზღუდულუნარიანობა-ინკლუზიურობის მეთოდოლოგიების და ადამიანური, ტექნიკური და

[5] იხილეთ A/HRC/47/15.

ფინანსური რესურსის არარსებობას პერიოდული კონსულტაციების ჩასატარებლად, მათ შორის, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან.

10. **კონვენციის აღსრულებასა და მონიტორინგის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით მონაწილეობის შესახებ No. 7 (2018) ზოგად კომენტარზე მითითებით, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, ეროვნული სახსრების ხელმისაწვდომობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყველა ორგანიზაციისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა თვითადვოკატირების ორგანიზაციებისთვის და უზრუნველყოს მათი უფლება უცხო ქვეყნიდან ლეგიტიმური დაფინანსების მოძიებასა და მიღებაზე;**

(ბ) **ადმინისტრირების ყველა დონესა და სექტორში შემოიღოს სავალდებულო და რეგულარული კონსულტაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან, რაც დაფუძნებული იქნება გამჭირვალობაზე, ორმხრივ პატივისცემაზე, შინაარსობრივ დიალოგსა და გულწრფელ სურვილზე მიღწეულ იქნას კოლექტიური შეთანხმება პროცედურებზე, რომლებიც უპასუხებს იმ ორგანიზაციების მრავალფეროვნებას, რომელთაც უძღვებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რაც შესაძლებელს გახდის გონივრულ და რეალისტურ ვადებს და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათანადო მნიშვნელობას მიანიჭებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაზრებებს;**

(გ) **უპირატესობა მიანიჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებსა და მათ ჩართულობას საკონსულტაციო ორგანოებსა და მექანიზმებში, მათი მოსაზრებების სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების ორგანიზაციების და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩართულობა;**

(დ) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენელ ორგანიზაციებთან საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად გამოყოს ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსი, განავითაროს ხელმისაწვდომი მეთოდოლოგიები კონსულტაციებისთვის და საინფორმაციო საშუალებები (information tools), მათ შორის, ადაპტირებული ტექსტები (ე.წ. „Easy Read“), უზრუნველყოს საკმარისი დრო ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის და შექმნას შესაძლებლობის განვითარების პროგრამები საკონსულტაციო პროცედურებში მონაწილე საჯარო მოხელეებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.**

B. კონკრეტული უფლებები (მუხლები 5–30)

თანასწორობა და არადისკრიმინაციულობა (მუხლი 5)

11. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგზე:

(ა) საკანონმდებლო და აღმასრულებელი ზომების ნაკლებობის გამო, რომლებიც უზრუნველყოფს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონში გაწერილ თანასწორობას და დისკრიმინაციის აკრძალვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და აღსრულების არასაკმარისი მექანიზმებზე, მათ შორის, აღსრულების კოორდინაციაზე;

(ბ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონში დებულებების არარსებობის გამო, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმული პირების სპეციფიკურ მოთხოვნილებებს და კომიტეტის წინაშე არსებული ინფორმაციის გამო, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმულ პირებს მოუწიათ არჩევნის გაკეთება ხანდაზმულთათვის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალურ შეღავათებს შორის კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის დროს;

(გ) სოფლად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დე ფაქტო დისკრიმინაციის გამო, რომელიც ძირითადად გამოწვეულია საზოგადოებაში არსებულ მომსახურებებზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობით და ინტერსექციური დისკრიმინაციის გამო, რომელიც გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ, ქვიარ და ინტერსექსუალ პირებზე, მათ შორის, საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობით, რომელიც აღიარებს ინტერსექციურ დისკრიმინაციას;

(დ) გონივრული მისადაგების შეზღუდული და ხშირად ***ad hoc*** უზრუნველყოფა მრავალ სფეროში, მათ შორის, ჯანდაცვის, განათლების, დასაქმებისა და საზოგადოებაში არსებულ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

12. **კომიტეტი იხსენებს რა თავის ზოგად კომენტარს No.6 (2018) თანასწორობის და არადისკრიმინაციულობის შესახებ, მხარე სახელმწიფოს რეკომენდაციას უწევს:**

(ა) **ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ზომაში გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციისგან დაცვა და შექმნას აღსრულების მექანიზმები ყველა კანონისთვის, რომლებიც იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არათანასწორი მოპყრობისგან და დისკრიმინაციისგან და თავისი მანდატის შესასრულებლად აღჭურვოს ეს მექანიზმები საკმარისი ფინანსური რესურსითა და პერსონალით;**

(ბ) **განახორციელოს ცვლილებები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონში, რათა გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულ პირთა სპეციფიკური მოთხოვნილებები;**

(გ) **ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე მიიღოს საკანონმდებლო და პოლიტიკის ზომები სოფლად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიტუაციის შესახებ, მათ შორის, დროში განსაზღვრული მიზნები და პროგრესის ინდიკატორები და ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსუალი პირთა მიმართ დისკრიმინაციასთან საბრძოლველად;**

(დ) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციებით, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებისთვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო წესები და ტრენინგები მათი ვალდებულებების შესახებ, რათა უზრუნველყონ გონივრული მისადაგება, განსაკუთრებით „დაუძლეველი ან გაუმართლებელი სირთულეების“ კონცეფციის გამოყენების თაობაზე, როგორც ეს მოცემულია კონვენციის მე-2 მუხლში.**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები (მუხლი 6)

13. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგზე:

(ა) „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსპექტივის არარსებობის და „შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონში გენდერზე დაფუძნებული პერსპექტივების არარსებობის გამო;

(ბ) ყოვლისმომცველი მონაცემების შეგროვების მექანიზმების ნაკლებობით, რომლებიც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს და გოგონებს შორის დისკრიმინაციის სფეროების და არახელსაყრელი მდგომარეობის იდენტიფიცირებისკენ და ზომებისკენ, მათზე გავლენის მქონე დისკრიმინაციის ყველა ფორმის საპასუხოდ;

(გ) მუნიციპალურ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების დისკრიმინაციისგან დაცვისკენ და საზოგადოებაში და სოციუმში მათი მონაწილეობის გაძლიერებისკენ მიმართული ზომებისთვის პროგრამებისა და ბიუჯეტის გამოყოფის ფაქტების არარსებობის გამო.

14. **კომიტეტი იხსენებს რა თავის ზოგად კომენტარს No.3 (2016) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების შესახებ და მდგრადი განვითარების მიზნების 5.1, 5.2 და 5.5 ამოცანებს, რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების უფლებების აქტუალიზაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონებში და მათ შესაბამის სტრატეგიებში, პოლიტიკასა და პროგრამებში, რათა უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს ნამდვილად შეუძლიათ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა დონეზე;**

(ბ) **ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების და, ზოგადად, ქალთა შესახებ მდგომარეობის კვლევას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაცემთა შეგროვებაში მოიცვას მათი საზრუნავი და აღნიშნულ ზომების შემუშავებაში, იმპლემენტაციაში, ზედამხედველობასა და შეფასებაში აქტიურად ჩართოს ქალების და გოგონების წარმომადგენელი ორგანიზაციები;**

(გ) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან კონსულტაციით, მიიღოს სტრატეგია, რათა ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების წინსვლას ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამების მიწოდებით.**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (მუხლი 7)

15. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის ამჟამინდელი შეფასებები ეფუძნება სამედიცინო მოდელს და გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ინდივიდუალური დახმარების ხელმისაწვდომობასა და საზოგადოებრივ მომსახურებებზე თანაბარ წვდომას;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის საჯარო პროგრამებს აქვს შეზღუდული ფარგლები, რაც განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სიღარიბეში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებს მიკუთვნებულ ბავშვებს და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს;

(გ) სოციალური მუშაკების მიერ ბავშვებისთვის შემუშავებული პროგრამები არ არის ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების

განვითარებისთვის ქმნის დამატებით ბარიერებს, მათ შორის, განსაკუთრებული მხარდაჭერის საჭიროების ბავშვების შემთხვევაში.

16. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესახებ ბავშვის უფლებათა კომიტეტის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის 2022 წლის ერთობლივ გაცხადებაზე მითითებით, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აქვთ ხელმისაწვდომობა სოციალურ პროგრამებზე, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების საზოგადოებაში ჩართულობას, მიუხედავად შეზღუდულობისა და პროგრამები აღიარებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს და პასუხობს მათ სათანადოდ, როგორც ქალაქში, ისე სოფლად;**

(ბ) **გაზარდოს პროგრამების ფარგლები ეროვნულ და მუნიციპალურ დონეებზე, რათა გააძლიეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობა, მათ შორის: (i) სიღარიბეში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სიტუაციის გამოსწორებით, (ii) იმის უზრუნველყოფით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საცხოვრებელი სტანდარტები შესაფერისია მათი ფიზიკური, მენტალური, სულიერი და მორალური განვითარების; (iii) ცხოვრების უსაფრთხო პირობებისა და საკვებისა და უფასო და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის და განათლების პრიორიტეტული მიწოდების უზრუნველყოფით;**

(გ) **შეიმუშავოს შეზღუდული შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარისხის სტანდარტები და მოთხოვნები ყველა პროგრამისთვის, რომელიც შექმნილია ბავშვებისთვის, მათ შორის, ადრეული ბავშვობის განვითარების პროგრამებისთვის ჯანდაცვაში და განათლებაში და უზრუნველყოს, რომ ასეთი პროგრამები ასაკისთვის შესაფერისია და პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობასთან დაკავშირებულ ბარიერებს, მიუხედავად ჯანმრთელობის დარღვევის ტიპისა და ინფორმაცია ასეთი პროგრამების შესახებ მოცემულია ხელმისაწვდომ ფორმატებში, როგორიცაა: ადაპტირებული ტექსტები ე.წ. „Easy Read“, გამადიდებელ (augmentative) საშუალებებში და კომუნიკაციის სხვა ფორმებში.**

ცნობიერების ამაღლება (მუხლი 8)

17. კომიტეტი გამოხატავს თავის შეშფოთებას ფართოდ გავრცელებული ნეგატიურ დამოკიდებულებებზე, სტერეოტიპებსა და ცრურწმენებზე, რომლებიც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, განსაკუთრებით შეზღუდული ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შესაძლებლობის მქონე პირებზე, ცხოვრების ყველა ასპექტში. ასეთი დამოკიდებულებები დომინირებს ზოგადად მოსახლეობაში, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებში და ოჯახებში და წვლილი შეაქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებისგან იზოლაციაში და მათთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის პროგრამებში მონაწილეობის ნაკლებობაში.

18. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **გააძლიეროს ცნობიერების ამაღლების აქტივობები, როგორიცაა: სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის ჯგუფებთან საჯარო კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი ნეგატიური სტერეოტიპების და ცრურწმენების აღმოფხვრას, განსაკუთრებით შეზღუდული ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ;**

(ბ) **უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების, მათ შორის, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის**

მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა მსგავსი პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და პერიოდულ მონიტორინგში.

მისაწვდომობა (მუხლი 9)

19. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს შემდეგს:

(ა) ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი ეროვნული კანონმდებლობის და ცხოვრების ყველა სფეროს მომცველი ეროვნული ხელმისაწვდომობის გეგმის არარსებობას;

(ბ) ფიზიკურ გარემოსთან, მათ შორის, საბავშვო ბაღებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან, სასამართლო შენობებთან, ბანკის ოფისებთან, სანოტარო ბიუროებთან და საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, მათ შორის, მუნიციპალიტეტთა შორის ტრანსპორტთან მისაწვდომობის ბარიერებს;

(გ) მისაწვდომობის რეგულაციებზე, განსაკუთრებით მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგულაციების მონიტორინგის ნაკლებობას;

(დ) ინფორმაციასთან და კომუნიკაციასთან, მათ შორის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან და სისტემებთან დაკავშირებული მისაწვდომობის ბარიერებზე სტრატეგიებისა და საჯარო ინვესტიციების არარსებობას.

20. **ხელმისაწვდომობის შესახებ თავის ზოგად No.2 (2014) კომენტარზე მითითებით, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციით:**

(ა) **შეიმუშაოს და მიიღოს კანონმდებლობა მისაწვდომობის შესახებ, მათ შორის, ვებ და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ კანონპროექტი, ეროვნული სტრატეგია და მისაწვდომობის გეგმა, რათა მოხდეს მისაწვდომობის მოთხოვნების იმპლემენტაცია ცხოვრების ყველა სფეროში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული ვადებითა და ნიშნულებით და უზრუნველყოს საკმარისი დაფინანსება მათი განხორციელებისთვის;**

(ბ) **გაზარდოს მისაწვდომობის პროექტების წლიური დაფინანსება, რათა გაუმჯობესდეს საჯარო სივრცეების, მათ შორის, ღია სივრცეების, ახალი და არსებული შენობების, განსაკუთრებით საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, ადმინისტრაციული და კულტურული მიზნებისთვის გამოყენებული შენობების მისაწვდომობა;**

(გ) **განახორციელოს კონვენციით გათვალისწინებული მისაწვდომობის ყველა სფეროს შეფასება ეროვნულ დონეზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო და კერძო დაინტერესებული მხარეების მიერ განსახორციელებელ მოკლე და გრძელვადიან ღონისძიებებს;**

(დ) **შექმნას მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემა, რომელიც ყოვლისმომცველად შეაფასებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებისა და მასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებას, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს კომპენსაციისა და სანქციების დაწესებას;**

(ე) **უზრუნველყოს ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები, რომლებიც აუცილებელია ჟესტების ენის ინტერპრეტაციის, სუბტიტრების, ტიტრების, აუდიო აღწერილობის, ბრაილისა და ადაპტირებული ტექსტების (ე.წ. "Easy Read"-ის) მიწოდებისთვის ცხოვრების ყველა სფეროში.**

სიცოცხლის უფლება (მუხლი 10)

21. კომიტეტი შეშფოთებულია, რომ:

(ა) „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 148-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განუკურნებელ სტადიაში ავადმყოფის უგონო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, მის ნათესავს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უარი განაცხადოს პაციენტისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე ან/და პალიატიურ მზრუნველობაზე, როგორც ეს აღნიშნულია მხარე სახელმწიფოს პასუხებში საკითხებისა და კითხვების ჩამონათვალზე;[6]

(ბ) კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილების მიღება ზღუდავს მეურვეობის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას - მიიღონ გადაწყვეტილებები მათ ჯანმრთელობასთან და მკურნალობასთან დაკავშირებით, კერძოდ, სიცოცხლის დასასრულებელი ზომები და ჭარბობს კანონიერი წარმომადგენლებისა და ჯანდაცვის პრაქტიკოსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.[7]

22. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციით:**

(ა) **გააუქმოს დებულებები, რომლებიც შესაძლებელს ხდის, მესამე მხარის შეფასების საფუძველზე, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის უარყოფას და კიდევ ერთხელ განამტკიცოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიცოცხლის სხვათა სიცოცხლის თანაბარი ფასეულობა, მათ შორის, საკანონმდებლო ზომებისა და პროტოკოლების მიღებით, რათა უზრუნველყონ, რომ ყველა გადაწყვეტილება, სამედიცინო მკურნალობის შესახებ სიცოცხლისთვის საშიშ სიტუაციებში მიღებული იქნეს აღნიშნული პირის ნებისა და პრიორიტეტის საფუძველზე და ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი მხარდაჭერით;**

(ბ) **გადახედოს კანონმდებლობას და შეცვალოს დებულებები, რომლებიც ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავტონომიას ჯანდაცვის კონტექსტში.**

სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციები (მუხლი 11)

23. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მომცველი პერსპექტივის ნაკლებობით კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმებში, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრიზისულ კომუნიკაციაზე, რისკის შესახებ ინფორმაციაზე, კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე წვდომის ნაკლებობის გამო;

(ბ) მექანიზმების ნაკლებობით, რომლებიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების მონაწილეობას კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკისა და სტრატეგიებში და აღდგენით ფაზაში.

(გ) COVID-19-ის პანდემიის გავლენით და მისი შედეგების შესამსუბუქებლად მიღებული ზომებით, კერძოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის შეზღუდვების, დისტანციური სწავლების

[6] CPRD/C/GEO/RQ/1, პუნქტი 54.

[7] იქვე, პუნქტი 56.

ტექნოლოგიებისა და სამედიცინო მომსახურებების მიუწვდომლობის და სარეაბილიტაციო პროგრამების შეჩერების გამო;

(დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით აფხაზეთის, საქართველოს და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის, ინფორმაციის ნაკლებობით იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჰუმანიტარულ დახმარებასა და აუცილებელ მომსახურებებზე წვდომასთან;

24. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:

(ა) მიიღოს გენდერულად და შეზღუდულ შესაძლებლობებზე მგრძნობიარე სტრატეგია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ისევე როგორც რისკის შესახებ ინფორმაცია და კრიზისული კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს ყველა სახის ჯანმრთელობის დარღვევას, სრულად არის ხელმისაწვდომი ადგილობრივ ენებზე და ხელმისაწვდომ ფორმატებში, მათ შორის, ადაპტირებული ტექსტებისა ("Easy Read"-ის) და ჟესტების ენაზე და რომელიც ითვალისწინებს „კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩოს".

(ბ) შექმნას მექანიზმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მჭიდრო კონსულტაციისა და აქტიური ჩართვისთვის მზადყოფნის, მართვისა და აღდგენის პოლიტიკაში და მიიღოს ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ორგანიზაციების, შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა მათ მიეცეთ ეფექტიანი ურთიერთქმედების საშუალება მთავრობასთან, ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან, სამხედროებთან, სამაშველო და საგანგებო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან საგანგებო სიტუაციებში;

(გ) მოიცვას შეზღუდული შესაძლებლობები თავის COVID-19-ზე რეაგირებისა და გაჯანსაღების გეგმებში, მათ შორის ვაქცინებზე, ჯანდაცვის მომსახურებებზე და პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების დასაძლევად შემუშავებული სხვა ეკონომიკური და სოციალურ პროგრამების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით და მიიღოს ზომები საგანგებო სიტუაციებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დეინსტიტუციონალიზაციისთვის და უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით საზოგადოებაში საცხოვრებლად;

(დ) ჰუმანიტარული აქტორებთან თანამშრომლობით, მიიღოს ზომები და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების მონაწილეობა, რათა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომა ჰუმანიტარულ დახმარებაზე, საევაკუაციო პროგრამებზე და საზოგადოებრივ მომსახურებებზე აფხაზეთის, საქართველო და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველო რეგიონებში.

კანონის წინაშე თანასწორობა (მუხლი 12)

25. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) კანონმდებლობითა და პრაქტიკით, რომელიც განაგრძობს ქმედუნარიანობის უარყოფას შეზღუდული ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, რომლებიც მიჩნეულნი არიან „ანტისოციალური პიროვნული აშლილობის" მქონედ, კომაში მყოფი პაციენტების და ალცჰაიმერის დაავადების მწვავე ფორმის მქონე პირთა მიმართ და კანონმდებლობით, რომელიც ზღუდავს ამ პირთა სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელებას, მათ შორის, ოჯახური ცხოვრების, მშობლის

უფლებების, შრომითი უფლებების და პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებების სფეროებში.

(ბ) არასაკმარისი პროგრესით შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე და დაწესებულებებში მცხოვრები შეზღუდული ფსიქოსოციალური შესაძლებლობების მქონე პირთა ქმედუნარიანობის აღდგენის უზრუნველსაყოფად;

(გ) იმ ფაქტით რომ, დამხმარე პერსონალის დანიშვნა კვლავ ეფუძნება მხოლოდ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ მოწოდებულ სამედიცინო შეფასებას და მტკიცებულებებს, მხარდაჭერილი გადაწყვეტილების მთელი რიგი მექანიზმების დანერგვის შეფერხებით და შეზღუდული ინფორმირებულობით მთავრობასა და საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების, კანონის წინაშე თანასწორი აღიარების და მხარდაჭერილი გადაწყვეტილების შესახებ;

(დ) მექანიზმების შეზღუდული ფარგლებით, მოაგვაროს ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მეორე მხრივ, დამხმარე პირებად დანიშნულ სოციალურ მუშაკებსა და ოჯახის წევრებს შორის;

26. **კომიტეტი, იხსენებს რა კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ თავის No.1 (2014) ზოგად კომენტარს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2022 წელს განხორციელებული ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასებას, რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **გააუქმოს ყველა დებულება, რომელიც შესაძლებელს ხდის ნებისმიერ სიტუაციაში კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილების მიღებას და აღმოფხვრას დე ფაქტო მეურვეობის სიტუაციები, მათ შორის, მრავალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულნი არიან „მხარდაჭერის მიმღებებად“;**

(ბ) **უზრუნველყოს, რომ მხარდაჭერილი გადაწყვეტილების მიღება უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირის ნებისა და პრიორიტეტების საფუძველზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება მიიღონ ან უარი თქვან მხარდაჭერაზე და მონაწილეობა მიიღონ, ხელმისაწვდომ ფორმატში შესაბამისი ინფორმაციით აღჭურვილმა, ნებისმიერ პროცედურაში, რომელიც ეხება მხარდამჭერ პირთა დანიშვნას და მხარდაჭერილი გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ალტერნატივას, რომლებიც მორგებულია ჯანმრთელობის ყველა სახის დარღვევაზე;**

(გ) **შემოიღოს გარანტიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და დამხმარე პერსონალს შორის ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების მიზნით და უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას - აირჩიონ და მიიღონ წვდომა მხარდაჭერაზე - მიენიჭება უპირატესობა;**

(დ) **პრიორიტეტი მიანიჭოს და შექმნას ხელმისაწვდომი და სწრაფი მექანიზმები, რათა უზრუნველყოს, რომ დაწესებულებებში შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული ფსიქოსოციალური შესაძლებლობის მქონე პირებმა აღიდგინონ სამართლებრივი ქმედუნარიანობა და ჰქონდეთ წვდომა კონვენციასთან თავსებად რეალური მხარდაჭერის ზომებზე.**

მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა (მუხლი 13)

27. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს შემდეგს:

(ა) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც „არ შეუძლია სწორად აღიქვას,

დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება," არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს, მათ შორის, სავარაუდო ძალადობის შემთხვევებში და უარყოფს სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას, სასამართლო ორგანოს მიმართოს მკურნალობის შემოწმების მიზნით;

(ბ) სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურებში მისაწვდომობისა და ეფექტური პროცედურული მისადაგების ნაკლებობას;

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის იურიდიული დახმარებისა და დაცვის საშუალებების, მათ შორის, ადვოკატთან წვდომის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას;

(დ) ცნობებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დაუსჯელობის შესახებ მათ მიერ ჩადენილი ძალადობისთვის;

(ე) ცნობებს, რომელთა მიხედვით, არ ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ონლაინ შევიწროების სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად ონლაინ შევიწროების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დებულებების არსებობისა;

28. **კომიტეტი, იხსენებს რა 2020 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის საერთაშორისო პრინციპებს და სახელმძღვანელო წესებს და მდგრადი განვითარების მიზნების მე-16.3 მიზანს, რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **გააუქმოს ყველა საკანონმდებლო დებულება, რომელიც ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას - მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ და სასამართლო პროცესებში და აღიაროს მათი უფლება - მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ და სასამართლო პროცესებში ყველა სტატუსით, სხვებთან თანასწორ საფუძველზე;**

(ბ) **უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გენდერულად მგრძნობიარე და ასაკის შესაბამისი პროცედურული მისადაგება, უზრუნველყოს ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურების ფიზიკური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ასპექტების მისაწვდომობა, მათ შორის, ჟესტების ენის პროფესიონალი თარჯიმნების და ბრაილის შრიფტის გამოყენების უზრუნველყოფით;**

(გ) **უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის იურიდიული დახმარების მომსახურების, განსაკუთრებით, კომპეტენტური იურისტების მისაწვდომობა და აქტიურად აცნობოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი უფლებების შესახებ;**

(დ) **გააფართოვოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის იმპლემენტაციის დამოუკიდებელი მონიტორინგი და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობების ეფექტური გამოძიება;**

(ე) **გააძლიეროს სამართალდამცავი ორგანოებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის თანასწორი უფლებების შესახებ და უზრუნველყოს კონვენციის დებულებების გამოყენება სასამართლო წარმოების დროს და სასამართლო გადაწყვეტილებებში;**

(ვ) **შექმნას ეფექტური მექანიზმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, განსაკუთრებით ონლაინ შევიწროების შესახებ არსებული კანონმდებლობის აღსრულების მიზნით და დაწერგოს ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები და**

ინფორმაცია, მათ შორის, ადაპტირებულ ტექსტები (ე.წ. "Easy Read"), რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ წვდომა მათი საჩივრების სტატუსის შესახებ ინფორმაციაზე.

პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება (მუხლი 14)

29. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონალური და სპეციალიზებული მოვლა განსაზღვრულ დაწესებულებებში, როგორც ეს გათვალისწინებულია „ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსების დაცვის კონვენციით" (ოვიედოს კონვენცია), ზეგავლენას ახდენს განსაკუთრებით ზრდასრულებზე, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე და შეზღუდული ფსიქოსოციალური შესაძლებლობის მქონე პირებზე;

(ბ) პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობის ნაკლებობას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადვოკატებთან და მნახველებთან, მათ შორის, ოჯახის წვერებთან შესახვედრად საჭირო მისაწვდომი ოთახების არარსებობას;

(გ) რომ ოვიედოს კონვენციის დამატებითი ოქმის შემუშავების პროცესი შეიძლება მოიცავდეს რეპრესიულ ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, მათდამი არსებული საშიშროების შემცველობის აღქმის საფუძველზე და არა მათი ნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად.

30. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **ძალადაკარგულად გამოაცხადოს დებულებები, რომლებიც შესაძლებელს ხდის თავისუფლების იძულებით აღკვეთას შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე და მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს საზოგადოებრივი და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებები და მხარდაჭერა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფლების უფლების პატივისცემით და უზრუნველყოს მათ მიერ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება, მათ შორის, ინდივიდუალური კრიზისის სიტუაციებში;**

(ბ) **უზრუნველყონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მისაწვდომობა და გონივრული მისადაგება და შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფა;**

(გ) **ოვიედოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას, დაიცვას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელი და კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შესახებ[8] და შესაბამისად, განახორციელოს მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებების რეფორმა, მათ შორის, ნებაყოფლობითი მხარდაჭერის ღონისძიებების გატარებით;**

(დ) **გაითვალისწინოს კომიტეტის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის 2021 წლის ივნისის ერთობლივი ღია წერილი და მომავალში ოვიედოს კონვენციის დამატებით ოქმთან ან რეკომენდაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ პროცესში მონაწილეობის მიღებისას, მიზნად დაისახოს იძულებითი ზომებისგან დისტანცირება და განავითაროს არაიძულებითი ჩარჩო მენტალური**

[8] A/72/55, დანართი.

ჯანმრთელობის შესახებ, როგორც ეს მოთხოვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით.

წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისგან თავისუფლება (მუხლი 15)

31. კომიტეტი ღრმად შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) შიდა კანონმდებლობის გამო, რომელიც იძლევა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობისა და შემზღუდველი ღონისძიებების დაწესების საშუალებას ექიმების გადაწყვეტილებების საფუძველზე;

(ბ) კომიტეტისთვის ცნობილი ინფორმაციის გამო არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, განსაკუთრებით, შეზღუდული ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ, მათ შორის, მათ მიმართ მექანიკური და ქიმიური შემაკავებელი ზომების გამოყენებით, იზოლაციით, განცალკევებით, მედიკამენტების იძულებითი მიცემით, იგნორირებით, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევებით, ფსიქიატრიული ჩარევებისას და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

32. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **გააუქმოს ყველა საკანონმდებლო აქტი, განსაკუთრებით „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში არსებული დებულებები, რომელიც ნებადართულს ხდის იძულებით მკურნალობას, აკრძალოს იძულებითი მკურნალობა და მიიღოს ზომები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეცეთ შესაძლებლობა, შეეწინააღმდეგონ სამედიცინო, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის მკურნალობას;**

(ბ) **მიიღოს ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის პრევენციის, მათ შორის, იძულებითი სამედიცინო მკურნალობის აკრძალვის მიზნით. შექმნას საჩივრების მექანიზმი, რომელიც მისაწვდომი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ყველა ინსტიტუციურ გარემოში და უზრუნველყოს მათთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ანაზღაურება;**

(გ) **მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილი წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის, მათ შორის, არანებაყოფლობითი სამედიცინო მკურნალობის შემთხვევების გამოძიება და, საჭიროების შემთხვევაში, დამნაშავეების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.**

ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება (მუხლი 16)

33. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის, მათ შორის, სხვადასხვა ფორმის შევიწროებისა და ძალადობის პრევენციისა და რეაგირებისთვის საჭირო კონკრეტული ჩარჩოების არარსებობით;

(ბ) ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევების, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობისა და ისეთი ძალადობის გამოვლენისკენ მიმართული ღონისძიებების შეზღუდული ფარგლებით, რომელიც გავლენას ახდენს ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის და ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე;

(გ) ძალადობაგანცდილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის

არადამაკმაყოფილებელი რაოდენობის რეფერირების პროგრამებით და ღონისძიებებით;

(დ) ცნობებით ფიზიკური დასჯის, ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ, რაც, უმთავრესად, გავლენას ახდენს სოფლად მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებზე;

34. **კომიტეტის 2021 წლის 24 ნოემბრის განცხადებაზე მითითებით, რომელშიც მან მოითხოვა ზომების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოსაფხვრელად, და იხსენებს რა მდგრადი განვითარების მიზნების 5.1, 5.2 და 5.5 მიზნებს, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ორგანიზაციებთან კონსულტაციებით, მიიღოს სტრატეგია, რათა უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა დაცვა ყველა სახის გენდერული ნიშნით ძალადობისგან, ექსპლუატაციისგან და დამამცირებელი მოპყრობისგან;**

(ბ) **შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის, ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა შორის, გაავრცელოს მისაწვდომი ინფორმაცია გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, ძალადობის ამ ფორმებისგან თავისუფლების უფლების და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების შეტყობინების საჩივრის პროცედურების შესახებ;**

(გ) **უზრუნველყოს რეფერირების პროგრამებისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მისაწვდომობა გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის;**

(დ) **განიხილოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების მდგომარეობა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციების განხორციელებით, რომელიც მოცემულია ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ მხარე სახელმწიფოს მეექვსე პერიოდულ ანგარიშზე[9] მიღებულ დასკვნით მოსაზრებებში;**

(ე) **მიიღოს კანონმდებლობა, რათა აკრძალოს ყველა სახის ფიზიკური დასჯა, ძალადობა და ოჯახში ძალადობა, განსაკუთრებით, სიღარიბეში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მიმართ.**

პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა (მუხლი 17)

35. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება მის წინაშე არსებულ ინფორმაციას იძულებითი ან არანებაყოფლობითი აბორტის, სტერილიზაციის, კონტრაცეფციისა და მხარე სახელმწიფოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სექსუალობის ჩახშობის მედიკამენტების გამოყენების შესახებ.

36. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, ცალსახად აკრძალოს, აბორტის, სტერილიზაციის, კონტრაცეფციისა და სექსუალობის ჩამხშობი მედიკამენტების გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მესამე მხარის გადაწყვეტილების საფუძველზე და შეიმუშავოს საჯარო პროგრამები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების, ქალების და გოგონების ცნობიერების ასამაღლებლად და ინფორმირებისთვის მათი სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ.**

[9] იხილეთ CEDAW/C/GEO/6.

გადაადგილების თავისუფლება და მოქალაქეობა (მუხლი 18)

37. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებელთათვის შესაბამისი მხარდაჭერის ზომებისა და გონივრული მისადაგების ნაკლებობა, განსაკუთრებით, ჟესტების ენის კვალიფიციური თარჯიმნების ნაკლებობა საიმიგრაციო პროცედურებში და შეზღუდული მისაწვდომობა ეტლით მოსარგებლე პირების და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ისეთ შენობებში, როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთა განთავსების ცენტრი და ჯანდაცვის სამინისტროს დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაციის ცენტრი;

(ბ) კომიტეტის წინაშე წარდგენილი ინფორმაციით, რომელიც მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მიგრანტთათვის არასაკმარის სამედიცინო მომსახურებაზე, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში;

(გ) კომიტეტის წინაშე წარდგენილი ინფორმაციით, რომელიც მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ლტოლვილებისთვის არ არის ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე შეღავათები.

38. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:

(ა) უზრუნველყოს შესაბამისი მხარდამჭერი ზომები და გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებლებისთვის, დააწესოს პროცედურული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ლტოლვილთა სტატუსის განხილვის პროცესში და უზრუნველყოს მსგავსი მექანიზმები საკმარისი ფინანსური საშუალებებით და პერსონალით, განსაკუთრებით, ჟესტების ენის კვალიფიციური თარჯიმნებით;

(ბ) უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებლებს და ლტოლვილებს, განურჩევლად ჯანმრთელობის დარღვევის ტიპისა, წვდომა აქვთ შენობებზე, რომლებიც განკუთვნილია მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთათვის გათვალისწინებული პროცედურებისთვის.

(გ) უზრუნველყოს ჯანდაცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებლებისთვის და ლტოლვილებისთვის, მათ შორის, საზოგადოებაში ხელმისაწვდომი ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მომსახურებები;

(დ) მიიღოს ზომები, მათ შორის, პროტოკოლები, რათა ლტოლვილობის მსგავსს სიტუაციებში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაავრცელოს მხარე სახელმწიფოში არსებული სოციალური დაცვის სქემები და უზრუნველყოს, რომ მსგავს პირებს აქვთ წვდომა შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეღავათებთან;

დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა (მუხლი 19)

39. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) მხარე სახელმწიფოს მიერ თავდაპირველ ანგარიშში[10] მოხსენიებული „საზოგადო ორგანიზაციების“ და „მცირე საოჯახო ტიპის

[10] CRPD/C/GEO/1, პუნქტი 126.

სახლების“ ქვეპროგრამები იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციონალიზაციას, დისკრიმინაციას და მარგინალიზაციას;

(ბ) დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამები განხორციელებულია ფრაგმენტულად, რის შედეგადაც მსხვილი დაწესებულებები განაგრძობენ ფუნქციონირებას, ხოლო მხარდამჭერი ზომები, რომლებიც საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დამოუკიდებლად და საზოგადოებაში ცხოვრების უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის, არარსებულია;

(გ) საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, მათ შორის, სახლში მოვლის მომსახურების და პერსონალური დახმარების არასაკმარისი მხარდაჭერის ღონისძიებები;

(დ) საზოგადოებაში ფინანსურად და ფიზიკურად მისაწვდომი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების ნაკლებობა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მისცემდა საშუალებას, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, გააკეთონ არჩევანი, სად და ვისთან ერთად იცხოვრონ.

40. **დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის შესახებ ზოგადი No.5 (2017) კომენტარის შესაბამისად და 2022 წელს გამოცემული დეინსტიტუციონალიზაციის, მათ შორის საგანგებო სიტუაციების დროს, დეინსტიტუციონალიზაციის შესახებ სახელმძღვანელო წესების[11] მხარდაჭერით, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება, ისევე, როგორც არჩევნის თავისუფლება - თუ ვისთან და სად იცხოვრებენ, ნებისმიერი სახის გაერთიანებული, მათ შორის, „ოჯახის მსგავს გარემოში“ ცხოვრების პრევენციის მიზნით, რაც იწვევს იზოლაციას და ინსტიტუციონალიზაციას, და მოახდინოს რესურსების გადამისამართება დაწესებულებებიდან, მათ შორის, მცირე ზომის დაწესებულებებიდან საზოგადოებაში ცხოვრების მხარდაჭერისკენ;**

(ბ) **შეიმუშავოს და განახორციელოს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით, მკაფიო ვადებით და საბიუჯეტო სახსრებით, რომელიც გავრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირზე, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და ჯანმრთელობის დარღვევის ტიპისა, და რომელიც მოიცავს ზომებს დამოუკიდებლად ცხოვრების უნარების განვითარებისთვის, და ხელი შეუწყოს გადასვლას ინსტიტუციური გარემოდან საზოგადოებაში ცხოვრებისკენ;**

(გ) **გააძლიეროს ღონისძიებები საზოგადოებრივი მომსახურებებისა და მხარდაჭერის ინდივიდუალური ფორმების განვითარების მიზნით, უზრუნველყოს ყველა დამხმარე ღონისძიების თანაბარი გეოგრაფიული დაფარვა, როგორიცაა თანატოლთა მხარდაჭერის ჯგუფები, ფულადი გზავნილები ან პირადი ბიუჯეტები;**

(დ) **ჩამოაყალიბოს მისაწვდომი და ფინანსურად ხელმისაწვდომი საბინაო სტრატეგია საზოგადოებაში საცხოვრებლად, მათ შორის რესურსების გამოყოფა საბინაო ინფრასტრუქტურის ადაპტაციისთვის სოფლებსა და ქალაქებში, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირებს აძლევს შესაძლებლობას, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, აირჩიონ სად და ვისთან ერთად იცხოვრონ, და თავიდან იქნას აცილებული გაერთიანებულ გარემოში ცხოვრება, და დანერგოს მონიტორინგის სტრატეგია ნიშნულებით, რათა შეფასებულ იქნას საბინაო პროგრამების პროგრესი;**

(ე) **უზრუნველყოს მომსახურებების არსებობა, მისაწვდომობა, ფინანსური ხელმისაწვდომობა და ადაპტირებადობა საზოგადოებაში, მათ შორის,**

[11] CRPD/C/5.

განათლების და ჯანდაცვის სფეროებში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, და გააუქმოს სეგრეგირებული მომსახურებები.

ინდივიდუალური მობილურობა (მუხლი 20)

41. კომიტეტი შეშფოთებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის მისაწვდომი და ფინანსურად ხელმისაწვდომი დამხმარე მოწყობილობების და შესაბამისი დამხმარე მომსახურებების ნაკლებობით. განსაკუთრებით, კომიტეტი აკვირდება ეტლის საჭიროების მქონე პირების ეტლის ვაუჩერის სქემის შეზღუდულ ფარგლებს „დამხმარე აღჭურვილობის უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ტიპის სატრანსპორტო ავტობუსით ორგანიზებით და ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი ტიპის ეტლისთვის. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში პირადი მობილურობა არ არის უზრუნველყოფილი მხედველობადაქვეითებული და სმენადაქვეითებული პირებისათვის.

42. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **გააძლიეროს თავისი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფმა კერძო პირებმა დანერგონ რიგი ღონისძიებები მობილობის გამარტივების მიზნით, როგორიცაა მეგზური ძაღლები, მობილობის დამხმარე საშუალებები, მოწყობილობები და ცოცხალი დახმარება;**

(ბ) **შემუშავდეს საჯარო პოლიტიკა ეროვნულ და მუნიციპალურ დონეებზე, რათა უზრუნველყოს დამხმარე მოწყობილობების მისაწვდომობა, თანაბარი განაწილება და ფინანსური ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა პირისთვის და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მობილობის უნარების განვითარებას.**

გამოხატვის და აზრის თავისუფლება, ინფორმაციის მისაწვდომობა (მუხლი 21)

43. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) ინფორმაციის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის და ეფექტიანი მონიტორინგის არარსებობას, რაც იწვევს მისაწვდომი ზეპირი, წერილობითი და ელექტრონული კომუნიკაციის ნაკლებობას, და ინფორმაციას მუნიციპალიტეტებში იურიდიული დოკუმენტებისა და საჯარო ინფორმაციის მშობლიურ ენაზე და მისაწვდომ ფორმატებში თარგმნის რესურსების ნაკლებობის შესახებ, რაც ქმნის დაბრკოლებებს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის;

(ბ) ქართული ჟესტების ენის დანერგვისთვის შეზღუდული ფინანსურ რესურსებს და რომ ჟესტების ენის თარჯიმანთა გადამზადების მისაწვდომობა ძალზედ შეზღუდულია ყველა რეგიონში, ზოგიერთ მათგანში სრულად არარსებულია, ასევე - ძირითად სკოლებში და უფასო იურიდიული დახმარების გამწევ დაწესებულებებში;

(გ) ჟესტების ენის თარჯიმნების დაბალ ანაზღაურებას და მათი ლიცენზირების სტანდარტების არარსებობას;

(დ) ნელ პროგრესს საჯარო და კერძო სუბიექტების ვებგვერდების მისაწვდომობის ხელშეწყობაში.

44. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:

(ა) **შეიმუშავოს და დანერგოს მისაწვდომობის ერთიანი სტანდარტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებზე, რათა**

უზრუნველყოს საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის მიწოდება მისაწვდომი ფორმატებითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც მისაწვდომი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის, დროულად და დამატებითი ხარჯების გარეშე;

(ბ) **შექმნას და დანერგოს მისაწვდომობის პროექტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სახელმწიფო უწყებებში ადმინისტრაციულ პროცედურებში, ასევე სოციალურ მუშაკებთან ურთიერთობისას, უზრუნველყოს უფასო და პროფესიული თარჯიმნის მომსახურებით;**

(გ) **გამოყოს საკმარისი დაფინანსება ჟესტური ენის თარჯიმნების მომზადებისა და დასაქმებისთვის, განსაზღვროს მათთვის ლიცენზირების სტანდარტები და შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ჟესტების ენის თარჯიმნების საკმარისად გათვალისწინებას, განსაკუთრებით სკოლებსა და საჯარო სამსახურებში;**

(დ) **მიიღოს და აღასრულოს კანონი ვებ და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ, რომელიც დაავალდებულებს ინტერნეტში ინფორმაციის განმათავსებლებს, თავიანთი მომსახურებები მისაწვდომი გახადონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.**

პირადი ცხოვრების პატივისცემა (მუხლი 22)

45. კომიტეტი გამოთქვამს შეშფოთებას საავადმყოფოებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად ყოვლისმომცველი ღონისძიებების ნაკლებობაზე.

46. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, გადახედოს და ცვლილებები შეიტანოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში, რათა იგი ითვალისწინებდეს საავადმყოფოებისა და ინსტიტუციების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვას და პირადი ცხოვრების პატივისცემის პრაქტიკას, და შექმნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროტოკოლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანდაცვის დაწესებულებებში და ინსტიტუციებში, რაც, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური, ჯანმრთელობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას.**

საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემა (მუხლი 23)

47. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს შემდეგს:

(ა) ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით დაწესებულებებში მცხოვრები ქალების მშობლის უფლებების შეზღუდვას მხოლოდ სამედიცინო შეფასებების საფუძველზე და აღნიშნულის შედეგად შვილებისგან განცალკევებას;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების საზოგადოებაში ჩართვის მხარდაჭერის პროგრამების შეზღუდულ ფარგლებს, რაც შედეგად იწვევს მომეტებულ დაუცველობას მიტოვებისადმი და ინსტიტუციონალიზაციისადმი;

(გ) ბავშვთა რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამები და ქვეპროგრამები არ მოიცავენ საკმარის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლების მხარდაჭერისთვის ბავშვის აღზრდის პასუხიმგებლობებში;

48. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **გააუქმოს კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთა მშობლობის უფლებებს, რომელთა სამართლებრივი ქმედუნარიანობა შეზღუდულია, და აღასრულოს ბავშვის უფლებათა კოდექსის დებულებები, რომლებიც კრძალავს ბავშვების მშობლებისგან განცალკევებას მშობლის თუ ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, როგორც მითითებულია საკითხთა ჩამონათვალზე მხარე სახელმწიფოს მიერ კომიტეტისთვის წარდგენილ პასუხებში;** [12]

(ბ) **ჩაატაროს კონსულტაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ორგანიზაციებთან, ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე, მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიების შესამუშავებლად, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მხარდაჭერისა და მომსახურების მიწოდებას, მათ შორის ტრენინგით მშობლობის უნარ-ჩვევებზე, საინფორმაციო ცენტრებითა და ინსტრუმენტებით მშობლობის უნარ-ჩვევების განსავითარებლად ადაპტირებული ტექსტების ფორმატში (ე.წ. „Easy Read“), შემოსავლის შესაბამისი დონის უზრუნველყოფით, კონსულტაციით, სახლში მოვლის მხარდაჭერითა და ასეთი მომსახურებების შესახებ ხელმისაწვდომ ფორმატებში ინფორმაციით;**

(გ) **მხარი დაუჭიროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლებს ბავშვის აღზრდის მოვალეობებში, პერიოდულად მონიტორინგი გაუწიოს ბავშვების რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამებს და ქვეპროგრამებს და შემოიღოს საჭირო ცვლილებები.**

განათლება (მუხლი 24)

49. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) ინკლუზიური ხარისხიანი განათლება არ არის გათვალისწინებული 2022–2030 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში; აღმასრულებელ აქტებში, როგორიცაა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“, ჭარბობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდაჭერა განისაზღვრება ძირითადად სამედიცინო შეფასების საფუძველზე; ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში არ არსებობს ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის, კოორდინაციისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები;

(ბ) სმენადაქვეითებული ბავშვები და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები კვლავ მიეკუთვნებიან სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს და შეზღუდულია ინფორმაცია ინკლუზიური განათლების წვდომის შესახებ იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც აქვთ მხარდაჭერის უფრო მაღალი საჭიროებები;

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები საგანმანათლებლო პროცესებში ნაკლებად არიან დაწინაურებულნი, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვაჟები და აწყდებიან სტერეოტიპებს, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სმენადაქვეითებული ბავშვები;

[12] CRPD/C/GEO/RQ/1, პუნქტი 115.

(დ) არასრული ან არარსებულია სტატისტიკური მონაცემები განათლების სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების, მათ შორის, სწავლის მიტოვების მაჩვენებლების შესახებ; ინფორმაცია კვალიფიციური პერსონალის, მათ შორის მასწავლებლების შესახებ მწირია; საკლასო ოთახები ხშირად გადატვირთულია, ინფრასტრუქტურა ხშირად არ არის უსაფრთხო, მისაწვდომი ან სათანადოდ აღჭურვილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და მასალა ხშირად მიუწვდომელია ან არასაკმარისია;

(ე) პროფესიული განათლებისა და სწავლების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობის ნაკლებობას.

50. **იხსენებს რა თავის No. 4 (2016) ზოგად კომენტარს ინკლუზიური განათლების უფლების შესახებ და მდგრადი განვითარების მიზნების 4.5 და 4.ა მიზნებს, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **უზრუნველყოს, რომ 2022–2030 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხარისხიან ინკლუზიურ განათლებას; რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები ჩაერთვებიან სტრატეგიის განხორციელების პროგრესის პერიოდულ მონიტორინგში და, რომ ყველა ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების გამოცდილება გათვალისწინებული იქნება მხარე სახელმწიფოს სამოქმედო გეგმებში;**

(ბ) **განახორციელოს ინკლუზიური განათლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ბავშვისთვის, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ხელმისაწვდომი პროცედურების შემუშავებით და უზრუნველყოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მონაწილეობით, მათი მოთხოვნების შესაბამისი მხარდაჭერის ფორმების შემუშავება, მათ შორის, გონივრული მისადაგების გზით, და პერიოდულად, შეაფასოს ინკლუზიური ზომები ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში;**

(გ) **მიიღოს სტრატეგია და გამოყოს შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები, რათა უზრუნველყოს განათლების მისაწვდომობა ქართული ჟესტური ენის, ადაპტირებული ტექსტების (ე.წ. „Easy Read“), ტაქტილური ჟესტური ენის, ტრეკინგის, ტაქტილური მართლწერისა და ტუჩების მოძრაობით კითხვის ფორმატებში.**

(დ) **გადახედოს ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მიღებას და შენარჩუნებას ინკლუზიურ განათლებაში, რომელთა მიზანი იქნება ბარიერებისა და სწავლის მიტოვების ფაქტორების გამოვლინა და აღმოფხვრა, და ხელი შეუწყოს საინფორმაციო სტრატეგიებს, რათა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სწავლის დასრულება, მათ შორის, დისტანციური სწავლების მეშვეობით;**

(ე) **მიიღოს ზომები განათლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონებისა და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჯგუფების წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მიმართ დისკრიმინაციის ინტერსექციური ფორმების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, ცნობიერების ამაღლებით და კონკრეტული ღონისძიებების გატარებით;**

(ვ) **შეაგროვოს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით დაჯგუფებული მონაცემები საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და დამთავრების შესახებ; უზრუნველყოს, რომ განათლების პოლიტიკა**

ითვალისწინებდეს ინკლუზიურ განათლებაში შესაბამისი უნარებისა და სწავლების მეთოდოლოგიების მქონე კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობის გაზრდის ღონისძიებებს; და განსაზღვროს ვადები ინფრასტრუქტურისა და სასწავლო მასალის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჯარო და კერძო სკოლებში;

(ზ) **ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების წვდომას პროფესიულ პროგრამებზე და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები პროფესიული განათლების პროგრამებზე რეგისტრაციისთვის და დასრულებისთვის საკმარისი ფინანსური საშუალებებით.**

ჯანმრთელობა (მუხლი 25)

51. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, რომელიც არღვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონების სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებს, მათ შორის, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, შეინარჩუნონ ნაყოფიერების უფლება;

(ბ) ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამედიცინო პერსონალის ტრენინგის ნაკლებობის და დისკრიმინაციული მიდგომის გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები მიიღებენ ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას, რის შედეგადაც მათზე არაპროპორციულ გავლენას ახდენს ბარიერები, როგორიც არის ინფორმაციის ნაკლებობა და მისაწვდომობა, განსაკუთრებით მათ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით;

(გ) დისკრიმინაციული ენით ჯანდაცვის კანონმდებლობაში, რაც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის სტიგმას;

(დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პრიორიტეტული ტესტირების არარსებობით COVID-19 პანდემიის დროს და გაჯანსაღების გეგმებში ჯანდაცვის მომსახურებებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით.

52. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **აღასრულოს კონვენციის ყველა დებულება ჯანმრთელობის უფლების შესახებ, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში და ჯანდაცვის პოლიტიკის დოკუმენტებში, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების აღიარებას, მათ შორის, ნაყოფიერების უფლების შენარჩუნებას, სხვებთან თანასწორ საფუძველზე;**

(ბ) **გააძლიეროს სამედიცინო პერსონალის რეგულარული მომზადების მექანიზმები ადამიანის უფლებების, ღირსების, ავტონომიისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებების შესახებ და მიიღოს ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის ჯანდაცვის სფეროში მომსახურებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, დისკრიმინაციის გარეშე, ბარიერების იდენტიფიცირებით, მოხსნით და მისაწვდომი სამედიცინო აღჭურვილობის უზრუნველყოფით, მათ შორის ადაპტირებული გინეკოლოგიური სკამებით;**

(გ) **ჯანდაცვის სფეროში მომსახურების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩო გაათავისუფლოს დისკრიმინაციული ენისგან, აღასრულოს რეგულაციები ჯანდაცვის სფეროში დისკრიმინაციისგან სამართლებრივი დაცვის შესახებ და განსაზღვროს ინფორმირებული თანხმობის მნიშვნელობა კონვენციისა და კომიტეტის No. 1 (2014) ზოგადი კომენტარის შესაბამისად;**

(დ) **უზრუნველყოს, რომ COVID-19 პანდემიის შემდგომი გაჯანსაღების გეგმები მოიცავს ზომებს, რომლებიც რეაგირებას მოახდენენ ბარიერებზე და პრიორიტეტს მიანიჭებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანდაცვას, მათ შორის ტესტირებას.**

შრომა და დასაქმება (მუხლი 27)

53. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს შემდეგს:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დაბალ მონაწილეობას დასაქმებაში, მათ შორის, პერსონალის აყვანის პროცესებში, რაც ნაწილობრივ განპირობებულია დამოკიდებულებითი ბარიერებითა და სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე მისაწვდომობის ნაკლებობით;

(ბ) საკანონმდებლო დებულებებს, რომლებიც ზღუდავს მხარდაჭერის მაღალი დონის საჭიროებების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და „მხარდაჭერის მიმღები“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებას; და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შეზღუდულ გავლენას დასაქმების დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე;

(გ) ხელფასების 25-პროცენტიან სხვაობას, რაც გავლენას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, როგორც ეს აღნიშნულია სამუშაო ძალის კვლევაში;

(დ) რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამუშაოს მაძიებელ პირთა შესაძლებლობების შეფასებას ძირითადად ახორციელებენ სპეციალისტები;

(ე) მხარდაჭერის შეზღუდულ გაგებას და განხორციელებას, მათ შორის სამუშაო ადგილზე გონივრული მისადაგების გზით.

54. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუშაობისა და დასაქმების უფლების შესახებ თავის ზოგად No. 8 (2022) კომენტარზე მითითებით და მდგრადი განვითარების 8.5 მიზნის შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:

(ა) **გააუქმოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებები, რომლებიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საჯარო სამსახურში პოზიციების დაკავების უფლებას და კანონმდებლობა, რომელიც მაღალი დონის საჭიროებების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიიჩნევს დასაქმებისთვის შეუფერებლად; შემოიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია საჩივრის მექანიზმების და სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ, რომელიც შეეხება დასაქმების დროს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვას;**

(ბ) **მიიღოს ზომები, რათა, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების უფლებები, მათ შორის, თანასწორი შესაძლებლობებისა და თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების უფლებები;**

(გ) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციით, მიიღოს სტრატეგია, რათა ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას ღია შრომის ბაზარზე, მათ შორის, პოზიტიური ღონისძიებების შემოღებით, რომლებიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის დასაქმების მისაწვდომობას და მოახდენს შეზღუდული შესაძლებლობის აქტუალიზაციას ზოგადი დასაქმების პროგრამებში; უზრუნველყოს, რომ სტრატეგია გავრცელდება:**

(i) **ღონისძიებებზე, რომელიც შეეხება მისაწვდომ ინფორმაციას ვაკანსიების და დასაქმების პროცედურების შესახებ;**

(ii) **დაწინაურების შესაძლებლობებზე;**

(iii) **დასაქმების ხელმისაწვდომობაზე ეკონომიკის ყველა სექტორში და საჯარო და კერძო სექტორებში;**

(iv) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მიმართ არსებული ცრურწმენის აღმოსაფხვრელ ღონისძიებებზე;**

(v) **კარგი პრაქტიკის გამაძლიერებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, სამუშაო მწვრთნელების დანიშვნაზე, რომლებიც მხარე სახელმწიფოს მიერ მოხსენიებულია თავის ანგარიშში;**[13]

(დ) **უზრუნველყოს, რომ შრომის შესაძლებლობების შეფასება მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამსახურში არსებული ბარიერების იდენტიფიცირებასა და განხილვას;**

(ე) **დამსაქმებლებისთვის და დასაქმებულებისთვის შეიმუშავოს სახელმძღვანელო წესები სამუშაო ადგილზე გონივრული მისადაგების, მათ შორის ინდივიდუალურ ცვლილებების, კორექტირებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამართლებრივი ვალდებულების შესახებ, და განახორციელოს მათი მონიტორინგი.**

ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა (მუხლი 28)

55. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) კანონმდებლობით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გამორიცხავს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული შეღავათებიდან გამომდინარე საპენსიო დახმარების მიღებისგან;

(ბ) რომ სოციალური შეღავათები არასაკმარისია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უზრუნველსაყოფად;

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი საცხოვრებლის შეზღუდული ხელმისაწვდომობით;

56. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **აღმოფხვრას შეზღუდული შესაძლებლობისა და ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია და მოახდინოს სოციალური დაცვის ჩარჩოს რეფორმა, რათა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის, განურჩევლად ასაკისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ხარჯების ხელმისაწვდომობა;**

(ბ) **შეაფასოს, არის თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების დონე ადეკვატური და შესაბამისად შეცვალოს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სოციალური დახმარება;**

(გ) **შეიმუშავოს მექანიზმები კონვენციის და კომიტეტის No. 5 (2017) ზოგადი კომენტარის შესაბამისად, რათა გააუმჯობესოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებელი პირობები და მოახდინოს მათი საცხოვრებელზე წვდომის უფლების რეალიზება, რომელიც ფინანსურად ხელმისაწვდომია და განთავსებულია საზოგადოებაში.**

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა (მუხლი 29)

57. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს შემდეგს:

[13] CRPD/C/GEO/1, პუნქტი 188.

(ა) ამომრჩეველთა დაბალი დონის აქტიურობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შორის, რომელიც აშკარად მცირდება, და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მცირე რაოდენობას წარმომადგენლობით ორგანოებში ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების განსაკუთრებულ მცირე რაოდენობას წარმომადგენლობით ორგანოებში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებში;

(გ) ხმის მიცემის მასალისა და საარჩევნო უბნების არასაკმარის მისაწვდომობას.

58. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის სრულუფლებიან და თანასწორ წევრებად დანიშნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს;**

(ბ) **ყველა მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში გააძლიეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე წარმომადგენლობითი ადგილობრივი საბჭოების შექმნის ღონისძიებები და მათი მოვალეობის შესასრულებლად უზრუნველყოს ისინი შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით;**

(გ) **ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში და საჯარო ადმინისტრაციაში და გაამარტივოს გარემო მათ მიერ საჯარო თანამდებობის დაკავებისთვის და ყველა საჯარო ფუნქციის შესასრულებლად ხელისუფლების ყველა დონეზე, მათ შორის, დამხმარე მოწყობილობების და პირადი დახმარების უზრუნველყოფით;**

(დ) **უზრუნველყოს ხმის მიცემის საშუალებებისა და ხმის მიცემის მასალის მისაწვდომობა, სხვა საშუალებებთან ერთად, ადაპტირებული ტექსტების ფორმატის (ე.წ. „Easy Read“), ბრაილისა და სხვა ხელმისაწვდომი ფორმატების უზრუნველყოფით.**

მონაწილეობა კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში (მუხლი 30)

59. კომიტეტი შეშფოთებულია შემდეგით:

(ა) მხარე სახელმწიფოს ჯერ არ მოუხდენია „უსინათლო, მცირემხედველი ან ბეჭდური ინფორმაციის კითხვის სხვაგვარი სირთულეების მქონე პირთათვის, გამოცემულ ნაწარმოებებზე მისაწვდომობის ხელშეწყობის შესახებ“ მარაკეშის ხელშეკრულების რატიფიცირება;

(ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან ბარიერებს ტურისტულ ადგილებზე, მათ შორის კულტურულ ძეგლებზე წვდომის თვალსაზრისით, კულტურულ ცხოვრებაში და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისას; 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა გრძელვადიან სტრატეგიაში არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კულტურულ ცხოვრებაში, რეკრეაციაში, დასვენებასა და სპორტში მონაწილეობის ხელშეწყობის ზომები.

60. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **მოახდინოს „უსინათლო, მცირემხედველი ან ბეჭდური ინფორმაციის კითხვის სხვაგვარი სირთულეების მქონე პირთათვის, გამოცემულ ნაწარმოებებზე მისაწვდომობის ხელშეწყობის შესახებ“ მარაკეშის ხელშეკრულების რატიფიკაცია და შესრულება;**

(ბ) **გააძლიეროს მექანიზმები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოს სპორტულ, რეკრეაციულ, კულტურულ და ტურისტულ ადგილებზე მისაწვდომობა, განსაკუთრებით დედაქალაქ თბილისის ფარგლებს გარეთ; შეაფასოს მისაწვდომობის ბარიერები და გაიაროს მჭიდრო კონსულტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან მისაწვდომობის ბარიერების აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებისას;**

(გ) **2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა გრძელვადიან სტრატეგიაში და შემდგომ სტრატეგიებში, პოლიტიკის დოკუმენტებში და პროგრამებში გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება, სხვებთან თანასწორ საფუძველზე, მონაწილეობა მიიღონ რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში.**

გ. სპეციფიკური ვალდებულებები (მუხლები 31–33)

სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება (მუხლი 31)

61. კომიტეტი გამოთქვამს შეშფოთებას:

(ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ კომპონენტებად დაყოფილი მონაცემების ნაკლებობის გამო, როდესაც არსებული მონაცემები არ ასახავს არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალურ რაოდენობას და არც იმ ბარიერებს, რომლებსაც ისინი აწყდებიან თავიანთი უფლებების განხორციელებისას; ასევე, კომიტეტი განსაკუთრებული შეშფოთებით გამოხატავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმულ პირთა შესახებ მონაცემების არარსებობის გამო;

(ბ) ცნობიერების და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ მონაცემთა შეგროვების შესახებ საერთაშორისო სახელმძღვანელო წესებისა და პროტოკოლების, განსაკუთრებით შეზღუდული უნარების სტატისტიკის შესახებ ვაშინგტონის ჯგუფის და შეზღუდული უნარების შესახებ მისი მოკლე კითხვარის გამოყენების ნაკლებობის გამო.

62. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ:**

(ა) **შექმნას მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და იმ ბარიერების შესახებ მონაცემთა უწყვეტ შეგროვებას, რომლებსაც ისინი აწყდებიან თავიანთი უფლებების განხორციელებისას, რათა შეიმუშავოს და განახორციელოს პოლიტიკა კონვენციის განხორციელების მიზნით;**

(ბ) **მიიღოს საერთაშორისოდ დადგენილი ნორმები და გარანტიები, მათ შორის, მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოს კონფიდენციალობა, მონაცემთა გამოყენების ეთიკური პრინციპების განხორციელება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი ცხოვრების პატივისცემა;**

(გ) **დარწმუნდეს, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეგროვებული მონაცემები შეიძლება დაიყოს შეზღუდული უნარების მიხედვით და მოსახლეობის სამომავლო აღწერები და შინამეურნეობების პერიოდული გამოკითხვები შეიცავდეს შეზღუდული უნარების სტატისტიკის შესახებ ვაშინგტონის ჯგუფის მოკლე კითხვარს შეზღუდული უნარების შესახებ.**

საერთაშორისო თანამშრომლობა (მუხლი 32)

63. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის პერსპექტივისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინების შესახებ ინფორმაციის არარსებობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებში, მათ შორის, ევროკავშირის განვითარების დახმარების მიერ საქართველოში დაფინანსებულ პროექტებში და მდგრადი განვითარების 2030 წლის სამოქმედო გეგმასთან და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ პროგრამებში. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებისა და პრიორიტეტების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

64. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აქტუალიზაცია მისი საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამების შემუშავების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესებში, მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში და მდგრადი განვითარების მიზნებისა და მდგრადი განვითარების 2030 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, ყველა დონეზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციით და მათი აქტიური ჩართულობით.**

განხორციელება და მონიტორინგი ეროვნულ დონეზე (მუხლი 33)

65. კომიტეტი შეშფოთებით აკვირდება შემდეგს:

(ა) კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შეზღუდულ ადამიანურ, ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებს;

(ბ) რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების მუდმივი მონაწილეობა მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმში ჯერ კიდევ შესამუშავებელია;

(გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ნაკლებობას.

66. **კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს:**

(ა) **გააძლიეროს უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები, გააძლიეროს საკონტაქტო პირების უნარები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აქტუალიზაციის მიზნით, ხელისუფლების ყველა სექტორში და ყველა დონეზე და გააძლიეროს მათი მანდატები კონვენციის განხორციელების მიზნით;**

(ბ) **გაზარდოს რესურსები სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის მანდატის განვითარებისთვის, რათა თავის საქმიანობაში უზრუნველყოფილი იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაციით და მეთოდოლოგიებით და უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები ეფექტურად არიან ჩართულები კონვენციის შესრულების მონიტორინგში, მათ შორის რისკისა და საგანგებო სიტუაციების დროს და გაჯანსაღების პერიოდში;**

(გ) **გაითვალისწინოს კომიტეტის სახელმძღვანელო წესები დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩარჩოების და კომიტეტის საქმიანობაში მათი მონაწილეობის შესახებ,[14] გააძლიეროს სახალხო დამცველის აპარატის მანდატი და როლი მისი რეკომენდაციების განხორციელებით და ხელი შეუწყოს**

[14] CRPD/C/1/Rev.1, დანართი.

ინფორმაციაზე მის შეუზღუდავ წვდომას მონიტორინგის ვალდებულებების განხორციელების ფარგლებში.

დ. შემდგომი ნაბიჯები

ინფორმაციის გავრცელება

67. კომიტეტი ხაზს უსვამს წინამდებარე დასკვნით მოსაზრებებში მოცემული ყველა რეკომენდაციის მნიშვნელობას. რაც შეეხება გადაუდებელ ზომებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული, კომიტეტს სურს, რომ მხარე სახელმწიფომ ყურადღება მიაქციოს ზემოხსენებულ მე-10 (მუხლი 4(3)), 62-ე (მუხლი 31) და 66-ე (მუხლი 33) პუნქტებში მოცემულ რეკომენდაციებს.

68. კომიტეტი თხოვნით მიმართავს მხარე სახელმწიფოს, შეასრულოს წინამდებარე დასკვნითი მოსაზრებებით გათვალისწინებული რეკომენდაციები. ის რეკომენდაციას უწევს მხარე სახელმწიფოს, რომ დასკვნითი მოსაზრებები განსახილველად და რეაგირების მიზნით გაუგზავნოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, შესაბამისი სამინისტროების თანამდებობის პირებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს და შესაბამისი პროფესიული ჯგუფების წევრებს, როგორიცაა განათლების, სამედიცინო და იურიდიული სფეროს პროფესიონალები, ასევე მედიას, თანამედროვე სოციალური კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენებით.

69. კომიტეტი მტკიცედ მოუწოდებს მხარე სახელმწიფოს, თავისი პერიოდული ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები.

70. კომიტეტი თხოვნით მიმართავს მხარე სახელმწიფოს, ფართოდ გაავრცელოს წინამდებარე დასკვნითი მოსაზრებები, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებში და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათი ოჯახის წევრებს შორის ეროვნულ და უმცირესობათა ენებზე, მათ შორის, ჟესტების ენაზე და ხელმისაწვდომ ფორმატებში, მათ შორის, როგორიცაა ადაპტირებული ტექსტები (ე.წ. „Easy Read“), და ხელმისაწვდომი გახადოს იგი ადამიანის უფლებების შესახებ მთავრობის ვებგვერდზე.

შემდეგი პერიოდული ანგარიში

71. კომიტეტი თხოვნით მიმარტავს მხარე სახელმწიფოს, 2028 წლის 19 ივლისამდე წარადგინოს თავისი გაერთიანებული მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშები და მასში შეიტანოს ინფორმაცია წინამდებარე დასკვნით მოსაზრებებში მოცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. კომიტეტი ასევე სთხოვს მხარე სახელმწიფოს, განიხილოს ზემოაღნიშნული ანგარიშების წარდგენა კომიტეტის გამარტივებული ანგარიშგების პროცედურის მიხედვით, რომლის მიხედვითაც, დადგენილ ვადამდე მინიმუმ ერთი წლით ადრე, კომიტეტი ამზადებს საკითხების ჩამონათვალს მხარე სახელმწიფოს ანგარიშისთვის. მხარე სახელმწიფოს პასუხები საკითხთა მსგავს ჩამონათვალზე უტოლდება მის ანგარიშს.